კომუნისტი

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ БҮТӘН ДӨНЯЛАР, БӘРЕГӘЛӘШЕГӘЗ!

ПРОЛЕТАРИ ВСІХ КРАЇН, ЄДНАЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ БҮТӘН ДӨНЯЛАР, БӘРЕГӘЛӘШЕГӘЗ!

ПРОЛЕТАРИ ВСІХ КРАЇН, ЄДНАЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРЛАРЫ БҮТӘН ДӨНЯЛАР, БӘРЕГӘЛӘШЕГӘЗ!

ПРОЛЕТАРИ ВСІХ КРАЇН, ЄДНАЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯ

ახალი წარმატებებისათვის კომუნისტურ მშენებლობაში

გ. ს. ძოწენიძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

საზეიმოდ გამოიყურებოდა 12 მარტს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზი. აქ გაიმართა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის მელქიშვილის № 45 საარჩევნო ოლქის წარმომადგენლებმა. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ შეხვედროდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძეს.

კრების პრეზიდიუმში არიან დეპუტატობის კანდიდატი ამხ. **გ. ს. ძოწენიძე**, ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე.**

წინასაარჩევნო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა **პ. გელბახიანმა.**

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პარი, პროფესორი **ნ. ჩხენკელი.** მან ილაპარაკა დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, ახალ შრომითს წარმატებებზე, რითაც ეგებებიან რესპუბლიკის მშრომელები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ნდობით აღჭურვილმა პირმა გააცხო ამომრჩევლებს გ. ს. ძოწენიძის ბიოგრაფია, უამბო მისი სახელმწიფოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

— აფიქრობ, თქვა ორატორმა, რომ ყველა, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, კარგად იცნობს ჩვენს დეპუტატობის კანდიდატს, არის რა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იგი დიდ ძალოონეს, მთელ თავის გამოცდილებასა და ცოდნას აბარებს საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავების საქმეს. ორატორმა მოიწოდა დამსწრეთ არჩევნების დღეს — 17 მარტს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატს გ. ს. ძოწენიძეს.

შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **პ. გამყრელიძე,** საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსი, **ბ. გუჯეჯიანი,** თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **გ. მელაძე,** ახალგაზრდა ამომრჩეველი **ნ. ბურკაძე,** დიასახლისი **გ. აბზიანიძე,** თბილისის 50-ე საშუალო სკოლის დირექტორი **ს. ყანონმათ** ილაპარაკეს რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე, დეპუტატობის კანდიდატის საქმიანობაზე, მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა **ამხ. გ. ს. ძოწენიძეს.**

სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა **გ. ს. ძოწენიძემ,** რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. მან მადლობა გადაუხადა მეექვსე-შვილის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებს გაწეული ნდობისათვის. ამ დიდ ნდობას, თქვა ამხ. ძოწენიძემ, სავსებით და მთლიანად ვაკუთვნებ ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელმაც ყველა ჩვენგანი აღზარდა ჩვენი დიადი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და ხალხის ინტერესების სამსახურის სულისკვეთებით.

საქართველოს უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მიმდინარეობს შრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით, — თქვა ამხ. ძოწენიძემ, — ისინი ეგებებიან არჩევნებს ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს შრომელებმა, პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს რომ ახორციელებენ, გაშალეს ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და დიდი წარმატებანი მოიპოვეს. მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება შვიდწლედის პირველ ოთხ წელიწადში 33,3 პროცენტით გაიზარდა. ახლა საქართველო ადნობს 3,2-ჯერ მეტ თუჯს, ვიდრე იტალია, უშვებს 1,3-ჯერ მეტ ცემენტს, ვიდრე იაპონია, და 1,2-ჯერ მეტს, ვიდრე ინგლისი. რესპუბლიკა ყოველ დღენახევარში იღებს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენიც გამომუშავებული იყო მთელი 1913 წლის განმავლობაში. მარტო უკანასკნელ რამდენიმე წლიწადში საქართველოში მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრე თითქმის ერთიორად გაიზარდა. დიდად განვითარდა კვების, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა.

მნიშვნელოვანი წარმატებებით ხვდებიან არჩევნებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მათ მოიყვანეს ყურძნის, ციტრუსების, დაფნისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა. მათ უკვე 1962 წელს შეასრულეს შვიდწლედის უკანასკნელი წლის დავალებანი და მიმყიდეს სახელმწიფოს 170 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დაიმახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოლოცვა. თავიანთი შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულმა საქართველოს მეჩაიეებმა იკისრეს ვალდებულება მოკრიფონ და ჩააბარონ სახელმწიფოს შვიდწლედის დამლევისათვის 200 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი.

ამხ. გ. ს. ძოწენიძემ თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო მშრომელთა კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს დედაქალაქ თბილისზე, რესპუბლიკაში იშვიათად შეეხვედებით ისეთ ქალაქსა და სოფელს, სადაც არ იყოს აშენებული ახალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, არ ხორცესდებოდეს კეთილმოწყობის სამუშაოები. მარტო შარშან რესპუბლიკაში აშენდა დაახლოებით 1.100 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

წლითიწლობით უჭობესდება მშრომელთა კულტურული მომსახურება, ფართოვდება თეატრების, კინოთეატრებიო, ბიბლიოთეკების ქსელი.

პარტიის პროგრამა, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, ითვალისწინებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები წარმატებით იბრძოლებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების შესრულებისათვის.

ამხ. ძოწენიძემ რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს მშრომელები არჩევნების დღეს — 17 მარტს ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო უფლებათან და მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამით ისინი კვლავ ცხადყოფენ თავიანთ შეკავშირებას კომუნისტურ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას — მთელი ძალღონით იბრძოლონ შვიდწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ამხ. გ. ს. ძოწენიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა კრების მონაწილეებს, მათი სახით კი ოლქის ყველა ამომრჩეველს, და აღუთქვა, რომ არ დაიშურებს ძალღონეს, რათა პირნათლად გაამართლოს მათი ნდობა. (საქდუნი).

ხელოვანი და პატრიოტი

რა უნდა იყოს კომპოზიტორისათვის იმაზე მეტი ბედნიერება, როდესაც მისი ნაწარმოებები არწივის ფრთებს გამოისხამენ, ჯერ მშობლიურ კერას თავს დასტრიალებენ, შემდეგ კი გაბედულად გადალახავენ საზღვრებს და ლაღად ინავარდებენ უცხო ქვეყნების მუსიკალური ცის ტატნობზე?

რევაზ ლაღიძეც ერთი ასეთი ნიჭიერი შემოქმედია, რომლის ნაწარმოებებმა დიდი ხანია საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურეს. ვინ არ იცნობს დღეს მის „სიმღერას თბილისზე", რომელშიც ერთგული შვილის უფაქიზესი სიყვარულის გრძნობაა ჩაქსოვილი ძვირფასი დედაქალაქისადმი?

ამ სიმღერამ, რომელსაც კარგად იცნობენ უცხო ქვეყნებშიც, არა მარტო გაუთქვა სახელი მის ავტორს, არამედ მასებში ცხოველი ინტერესი აღძრა თბილისისადმი, საქართველოსადმი. არანაკლები წარმატებაა სრულდება მსოფლიოს საკონცერტო ესტრადებზე რ. ლაღიძის პატარა, მაგრამ ელფეროვანი მძლავრი ენერგიით აღსავსე სიმფონიური სურათი „საჭადაო". იგი ხატოვნად გადმოგვცემს ჩვენი ხალხის ოდითვე საყვარელი სპორტის ერთ-ერთი სახეობის — „ქართული ჭიდაობის" — წარმტაც, დინამიკურ სურათს. თბილისს არ სტუმრებია არც ერთი უცხო ტომის დირიჟორი, პირველი გაცნობისთანავე რომ არ მოხიბლულიყო ლაღიძის „საჭიდაოს" მდიდარი კოლორიტულობით, ყუათიანი მუსიკალური სახეებით, განუმეორებელი ეროვნული იერით და მუსიკალური ნაკადის ინტენსიური განვითარებით პირველი ტაქტებიდანვე მახვილ გონივრულ ფინალამდე.

1949 წელს რ. ლაღიძემ შექმნა სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის" ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოების — „დიმიტრი თავდადებულის" მიხედვით. ამ ნაწარმოებმა, რომელიც ახალგაზრდა კომპოზიტორის პირველ ცდას წარმოადგენდა სიმფონიური მუსიკის დარგში, საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. იგი — მკაფიო მელოდიური ფორმა, ნათლად გამოხატული ეროვნული სტილი და არტისტული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ვითი როდი, რომ რ. ლაღიძის ამ პიესებმა მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა ახალგაზრდა მუსიკოსთა რეპერტუარში.

რ. ლაღიძის მუსიკალური კომედიები: „მეგობრები" (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიანი) და „კომბალე" (გ. ნახუცრიშვილისა და პ. გრუზინსკის ლიბრეტო) დამსახურებული წარმატებით სარგებლობენ. ამ ნაწარმოებებმა გარკვეული როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა ოპერეტისა და მუსიკალური კომედიის განვითარებაში. ნაყოფიერია აგრეთვე კომპოზიტორის მუშაობა დრამატულ თეატრსა და კინოხელოვნებაში. მას მუსიკალურად გაფორმებული აქვს ათობით პიესა („ტარიელ გოლუა", „ახალგაზრდა მასწავლებელი", „ქუთაითურები" და ა. შ.) და ქართული კინოსურათები („კეთილი ადამიანები", „საბუდარელი ჭაბუკი", „ცისკარა", ქართულ-ჩეხოსლოვაკიური ფილმი „შეწყვეტილი სიმღერა" და სხვ.).

რევაზ ლაღიძის შემოქმედების ცენტრალური თემაა პატრიოტიზმი და თანამედროვეობა. გარდა ზემოხსენებული ნაწარმოებებისა, ამ თემით შთაგონებულია მეტი წილი ბოლო წლებში შექმნილი პიესებისა, მათ შორის: სიმღერების ციკლი პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსებზე, კანტატა საქართველოზე სოლისტებისა, გუნდისა და ორკესტრისათვის, „გვიხმობს სამშობლო", „სიმღერა პატრიოზე" და კანტატა ლენინზე, პირველად შესრულებული 1961 წლის თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო საღამოზე.

იგივე გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა და გმირული თავდადებისა საფუძვლად დაედო რ. ლაღიძის ოპერას „ლელა" (ლიბრეტო ლ. ჭუბაბრიანი), რომელზეც ამჟამად ინტენსიურად მუშაობს. კომპოზიტორის შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად რ. ლაღიძე დიდ და სასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. იგი არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მერვე მოწვევის დეპუტატი. ამჟამად ლაღიძე ხელმძღვანელობს მუსიკის კათედრას თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მან ენერგიული მუშაობა გააჩაღა სტუდენტთა შორის კლასიკური და საბჭოთა მუსიკის საფუძვლიანად გაცნობის ხაზით.

ჩვენ, მუსიკოსებს, გულწრფელად გვახარებს ის, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულია ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორი, მხურვალე პატრიოტი, მშობლიური ბუნების მოტრფიალე ხელოვანი და საყვარელი ადამიანი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი რევაზ ილიას-ძე ლაღიძე. დარწმუნებული ვართ, რომ ხალხის ნდობას და საპატიო დავალებას იგი ისევე პირნათლად შეასრულებს, როგორც დღემდე მოწინავე საბჭოთა კომპოზიტორის სახელს ამართლებს.

პავლე ხუჭუა.

სურათზე: კომპოზიტორი რ. ლაღიძე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მარად ცოცხალი, განვითარებადი მოძღვრება

ქარლ მარქსი... დედამიწაზე ძნელია მოიძებნოს კუთხე, სადაც არ იცნობდნენ ამ სახელს. მარქსი ყველა ქვეყნისა და კონტინენტის პროლეტარია დიდი მასწავლებელია, იგი არის შემქმნელი მეცნიერებისა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შესახებ.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი ქარლ მარქსი თავის საქმიანობაში ერთმანეთს უბამებდა გენიალური მკვლევარი მეცნიერისა და მგზნებარე რევოლუციონერის სიდიადეს. მთელი თავისი გიგანტური ცოდნა, მთელი თავისი უდიდესი ნიჭი შეხწირა მან ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლების საქმეს. მარქსის მიერ შექმნილი მოძღვრება, ენგელსის განსაზღვრით, სოციალისტური ძალა იყო ამ სიტყვის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით. მოკლე ისტორიულ ვადაში, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იგი დაეუფლა მრავალი მილიონი ადამიანის გონებასა და გულს, კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივი განვითარების მთელ მსვლელობაზე. ახლა მარქსიზმ-ლენინიზმი საბრძოლო დროშაა კომუნისტთა მძლავრი არმიისა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს ორმოცდა ორ მილიონ ხუთასი ათას კაცს. და ეს უძლეველი არმია ყოველ წელს იზრდება და მტკიცდება.

ბურჟუაზია და მისი მეამბჯრენი არაერთგზის ცდილობდნენ მოესახო მარქსიზმი. ბევრი რევოლუციონერი მარქსისტი რუსეთში მეფის ჟანდარმთა მსხვერპლი გახდა. ათეულ ათასობით კომუნისტი აწამეს ფაშისტთა საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში. ასეულ ათასობით მამაცმა მებრძოლმა სიცოცხლე შეხწირა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაცვას, რომელშიც სრული განსახიერება პოვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა. ბურჟუაზიული სამყაროს მთელი რიგი ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ გერმანიის და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიები ახლაც უძნელეს პირობებში მუშაობენ, განიცდიან გაუფთრებულ დევნას. მაგრამ ვერც ტერორმა, ვერც ცილისწამებამ, ვერც ძალადობამ ვერ დაუკარგა და ვერ დაუკარგავს მარქსის მოძღვრებას ზემოქმედების იმ ძალას, რომელიც მას აქვს და რომელიც ამ მოძღვრებას ხდის მებრძოლი პროლეტარიატის, მსოფლიოს ყველა მშრომელი ადამიანის მძლავრ იარაღად.

კრახი განიცადა ბურჟუაზიის ყველა ცდამ მოეხდინა მარქსიზმის მოძღვრების ფალსიფიკაცია, შეეცვალა იგი ეკლექტიკური მეშჩანური ფსევდოსოციალიზმით, მოეწამლა მუშათა კლასი ოპორტუნიზმის შხამით, შეერყია პროლეტარიატის რწმენა, რომ გარდაუვალია კაპიტალისტური წყობილების ნგრევა და კომუნიზმის დამკვიდრება.

მეცნიერული კომუნიზმის მოწინააღმდეგენი, ბურჟუაზიის აპოლოგეტები, ყველა ჯურის რევიზიონისტები და რეფორმისტები ამტკიცებენ, რომ „მარქსიზმი მოძველებულია", რომ შეუძლებელია მისი „გამოყენება" თანამედროვე პირობებში. ეს იმას მოწმობს, რომ ისინი შიშით ძრწიან მუშათა კლასის გამარჯვებების, სოციალიზმის წარმატებების გამო, იმის გამო, რომ გარდაუვალია კაპიტალისტური წყობილების დაღუპვა. მარქსის მოძღვრება, რომელიც შემოქმედებითად განავითარეს და გაამდიდრეს ლენინმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და სხვა მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა, ძლევამოსილად მიაბიჯეს მთელ დედამიწაზე, მილიონობით მშრომელს აღფრთოვანებს კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

„მარქსის მოძღვრება ყოვლადძლიერია, იმიტომ რომ იგი სწორია", — ხაზს უსვამდა ლენინი (თხზ. ტ. 19, გვ. 4). მას საფუძვლად უდევს კონკრეტული ისტორიული და ეკონომიური ფაქტების ზუსტი მეცნიერული ანალიზი. იგი არის საშუალება, რომ გავიგოთ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებანი და ყველა მისი რთული გამოვლინებანი, და შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს აქტიურად მოახდინონ გავლენა საზოგადოების განვითარების მიმდინარეობაზე.

მარქსისტული თეორიის სისწორე დაადასტურა თვით ცხოვრებამ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე. „მარქსიზმ-ლენინიზმი, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — გამოდის ახლა კაცობრიობის წინაშე არა მარტო როგორც თეორია, არამედ როგორც ცოცხალი სინამდვილე", კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაცია ჩვენი პლანეტის მნიშვნელოვან ნაწილში, სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში, მძლავრი სოციალისტური ბანაკის შექმნა, რომელიც დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტს აერთიანებს, — ასეთია მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ჭეშმარიტების უცილობელი დადასტურება.

მარქსს არასოდეს არ მიაჩნდა თავისი თეორია რაღაც ერთხელ და სამუდამოდ გაყინულად, „მარადიულ ჭეშმარიტებათა" რაღაც გროვად, დადგენილ ფოგმებად. როცა ესეც ეხებოდა ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნდათ მისი მოძღვრება აბსტრაქტულ სქემად, რომლის გამოყენებაც ცხოვრების ყველა შემთხვევაში შეიძლება, მარქსი ირონიულად აცხადებდა: „ახეთ შემთხვევაში ვიცი მხოლოდ ერთი რამ, რომ თვითონ მე მარქსისტი არა ვარ". იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ მისი თეორიის სწორი გამოყენება აუცილებლად მოითხოვს ობიექტიური ვითარების, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების კონკრეტული პირობების გულდასმით გათვალისწინებას.

ასეთი შესაძლებლობა ლენინსაც ჰქონდა მხედველობაში, როცა 1917 წლის გაზაფხულზე ჩვენს ქვეყანაში ერთ ხანს ორხელისუფლებიანობა შეიქმნა. რა თქმა უნდა, მშვიდობიანი საშუალებებით პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის პირობები ყოველთვის როდი შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ ასეთი შესაძლებლობა მაინც არსებობს, განსაკუთრებით ახლანდელ ვითარებაში, როცა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო მასშტაბით სწრაფად იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ. რასაკვირველია, პროლეტარიატი გამოიყენებს ბრძოლის იძულებითს მეთოდებსაც, თუ ბურჟუაზია თავისი მოქმედებით აიძულებს ამას.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი ხასიათი განსაკუთრებით რელიეფურად ვლინდება ომებისადმი დამოკიდებულების საკითხში. მარქსიზმის ფუძემდებლები ცხოვრობდნენ ეპოქაში, როცა ძირითადი ტიპის ომი იყო ან ეროვნული ომი, დაკავშირებული ევროპის ხალხთა ბრძოლასთან ეროვნული ერთობისათვის, ან კოლონიური ომი, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები აწარმოებდნენ კოლონიათა დაპყრობის მიზნით. მარქსი და ენგელსი გადაჭრით გმობდნენ ყოველგვარ რეაქციულ ომს, ამავე დროს მხარს უჭერდნენ ხალხთა სამართლიან მისწრაფებას დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობისადმი.

უკვე იმპერიალისტური ეპოქის წინ ენგელსმა განჭვრიტა საერთო ევროპული ომის საფრთხე და ყველა ქვეყნის სოციალისტთა ღირსების სამედ მიიჩნდა ბრძოლა მილიტარიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ. მონოპოლისტურ დაჯგუფებათა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებასთან ერთად ეს საფრთხე მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ პროლეტარიატს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ობიექტურად საკმარისი ძალები მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის. ახლა კი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და სოციალისტური ბანაკის შექმნის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ფაქტიურად დაიშალა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. შეიქმნა რეალური შესაძლებლობა არა მარტო იმისათვის, რომ არ დავუშვათ მონოპოლისტების მიერ ახალი მსოფლიო ომის დაწყება, არამედ საერთოდ მივაღწიოთ იმას, რომ გამოვიცხოთ ომი საზოგადოების ცხოვრებიდან როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალება.

ესოდენ დიდმნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც თავისთავად ახალი ნაბიჯია მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში, როგორც ცნობილია, გამოიტანა სკკპ XX ყრილობამ და შემდგომი დასაბუთება პოვა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში. ამას წინათ კარიბის ზღვის რაიონში დაძლეულმა კრიზისმა, როცა საბჭოთა თავრობის ბრძნული და შორსმჭვრეტელი მოქმედების მეოხებით კაცობრიობა გადაურჩა თერმოატომური ომის საშინელებას, დაადასტურა, რომ სწორია ასეთი დასკვნა.

ეს მარქსისტული თეორიის შემოქმედებითი განვითარების შესანიშნავი მაგალითია, თეორიისა, რომელსაც საფუძვლად უდევს რეალური ფაქტების, ძალთა რეალური თანაფარდობის სრული და ყოვლისმხრივი გათვალისწინება. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა კაცობრიობას ახეთ შემთხვევაში დოგმატური განმეორება ცნობილი და ერთ დროს ამხოლუტურად სწორი დებულებისა იმის შესახებ, რომ გარდაუვალია ომები იმპერიალიზმის ეპოქაში, იმ განგებურ ცვლილებათა გაუთვალისწინებლად, რომლებიც მოხდა ძალთა თანაფარდობაში საერთაშორისო ასპარეზზე. და განა შეიძლება უგულებელვყოთ ის პრინციპული სიახლე სამხედრო საქმეში, რაც მოჰყვა თერმობატომური იარაღის, საკონტინენტთაშორისო რაკეტების შექმნას და სხვ.? არა, ნამდვილი მარქსისტ-ლენინელები არ უგულებელყოფენ სინამდვილის ფაქტებს!

„...ყოველთვის, — აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, — საჰირო გავითვალისწინოთ კონკრეტული ვითარება და კონკრეტული პირობები. დოგმატური მიდგომა რეალური ვითარების სალად გაუთვალისწინებლად საზიანოა, რადგან ყველაზე სერიოზულ შეცდომათა წყაროა. მარქსისტ-ლენინელებს უნდა ახსოვდეთ, რომ აბსტრაქტული ჭეშმარიტება არ არსებობს, — ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია".

ამ აზრს ადასტურებს თანამედროვე პირობებში მეორე უნიშვნელოვანესი პრობლემა და მარქსისტულ-ლენინური თეორია — ორი დაპირისპირებული სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი. ბუნებრივია, რომ მარქსი და ენგელსი ვერ წამოაყენებდნენ ამ თეზისს, რადგან ითვალისწინებდნენ, რომ პროლეტარული რევოლუცია გაიმარჯვებს ასე თუ ისე ერთდროულად კაპიტალის ძირითად ქვეყნებში. იმპერიალიზმის პირობებში ვითარება შეიცვალა. დებულება იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ნაწილობრივ ერთ — ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომელიც ლენინმა დაასაბუთა, მალე დაადასტურა ცხოვრებამ. ოქტომბრის რევოლუციამ გაარღვია იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემა. მას შემდეგ დაიწყო ის ისტორიული პეროდიც, როცა მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარდაუვალი გახდა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო ასპარეზზე.

მშვიდობიანი თანაარსებობის ოცი წლის შემდეგ იმპერიალისტებმა სცადეს იარაღის ძალით ჩაეხშოთ სოციალისტური სახელმწიფო, მაგრამ ამ ცდამ სრული მარცხი განიცადა. ფაშიზმის განადგურების შედეგად შეიქმნა სოციალისტური ბანაკი. დაბადების პირველი დღეებიდანვე იგი თავის ურთიერთობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან აშენებს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების შესაბამისად. ამრიგად, კვლავ და კვლავ ადასტურებს თავის სიცოცხლისუნარიანობას თეზისი მშვიდობიანი თანაარსებობის გარდაუვალობის შესახებ. ხოლო ომის თავიდან აცილების უკანასკნელ წლებში შექმნილმა შესაძლებლობამ დასახა თანაარსებობის პერსპექტივა მთელი იმ ისტორიული პერიოდისათვის, რომლის განმავლობაში გადაიჭრება ის სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს თიშავენ. რა თქმა უნდა, მშვიდობიანი თანაარსებობა მხოლოდ გარკვეული ფორმაა კლასობრივი ბრძოლისა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის; ეს ბრძოლა ძირითადად ეკონომიური შეჯიბრების საშუალებებით წარმოებს.

ახლა სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, თუ რამდენად უაზრობა იქნება იმის ცდა, რომ მარქსიზმის დიდ ფუძემდებელთა ნაწარმოებებში ვიპოვოთ მზა პასუხი იმ საკითხებზე, რომლებიც ისტორიულმა განვითარებამ წამოაყენა უკანასკნელი ათი-ოცი წლის მანძილზე.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი დაუფლება მოითხოვს გულდასმით შევისწავლოთ ყველა ახალი მოვლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვაგვარად არ შეიძლება შევიმუშაოთ როგორც მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ისე მისი ცალკეული ეროვნული რაზმების ისეთი ტაქტიკა, რომელიც შეესაბამება მოცემული მომენტის ობიექტურ ამოცანებს და მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუშათა კლასის ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას. ის, ვინც მხედველობიდან უშვებს ამას, დოგმატურად განმარტავს მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ დებულებებს იმ ვითარების გაუთვალისწინებლად, როცა ეს დებულებანი წამოაყენეს, ის, ამბობდა ლენინი, აცალმხრივებს, ამახინჯებს, კლავს მარქსიზმს, აცლის მას ცოცხალ სულს, ძირს უთხრის მის უმთავრეს თეორიულ საფუძვლებს — დიალექტიკას, მოძღვრებას ყოველმხრივი და წინააღმდეგობებით სავსე ისტორიული განვითარების შესახებ, არყევს მის კავშირს ეპოქის განსაზღვრულ ისტორიულ ამოცანებთან, რომელნიც შეიძლება შეიცვალოს ისტორიის ყოველი ახალი შებრუნების დროს.

რევოლუციური მარქსიზმი ნიშნავს მეცნიერული კომუნიზმის თეორიის ძირითადი პრინციპების შემდგომ განვითარებას, ამ პრინციპების სწორ, უნარიან გამოყენებას ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში. მაგრამ როგორიც უნდა იყოს თავისებურება ვითარებისა, რომელშიც მოქმედებენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცალკეული ეროვნული რაზმები, მათი ბრძოლა წარმატებითი შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური პარტიების ერთობის საფუძველზე, იმ დიადი ლენინგიადმი ერთგულების საფუძველზე, რომელიც მარქსმა წამოაყენა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!". ერთობის განმტკიცება საწინდარია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს კომუნისტების შემდგომი გამარჯვებისა მათ საერთო მტერზე, იმპერიალიზმზე.

მარქსი ცხოვრობდა და მუშაობდა ეპოქაში, როცა მუშათა მოძრაობა ჯერ მხოლოდ ადგებოდა დამოუკიდებელ გზას. თავისი საქმიანობით მუშათა საერთაშორისო ამხანაგობაში — პირველ ინტერნაციონალში — მარქსმა მოამზადა ნიადაგი პროლეტარული პარტიების შექმნისათვის, რომლებიც მისი ცხოვრების დროს მხოლოდ იქმნებოდა. იგი ვერ მოესწრო ენახა თავისი მოძღვრების ძლევამოსილი წინსვლა მთელ მსოფლიოში. მაგრამ კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერება, რომელიც მარქსმა შექმნა და შემოქმედებითად განავითარა ლენინმა, ცოცხლობს მსოფლიოში პირველი სოციალისტის ქვეყნის დიდ წარმატებებში, ისტორიული XXII ყრილობის მიერ მიღებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საქმეებსა და გამარჯვებებში. მარქსიზმ-ლენინიზმი უძლეველია!

ბ. ტარტაკოვსკი,
სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

პარტიული ქრონიკა

პარტიულ სახელმწიფო კონტროლის სელუმეშეყოგი

ცხინვალი. (საკ. კორ.). ოლქის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტების ხელუმეშეყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების შექმნა. ცხინვალის მომინანქრებული სადენების, ელექტროვიბრომანქანების ქარხნებში ხალხმრავალ კრებებზე პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელუმეშეყობ ჯგუფებში დაასახელეს მოწინავე მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ასეთი ჯგუფები და საგუშაგოები შეიქმნა ხე-ტყის კომბინატში, სტამბაში, ერედვისა და თამარაშვილის საბჭოთა მეურნეობებში, სამხრეთ ოსეთის მრავალ კოლმეურნეობაში.

მეთოდური კონფერენცია

ახალციხე. (საკ. კორ.). ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლმა ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტთან ერთად რაიონის პროპაგანდისტებისა და სემინარის ხელმძღვანელებისათვის მოაწყო მეთოდური კონფერენცია თემაზე: „როგორ გამოვიყენოთ თვალსაჩინო

სახლ-მუზეუმი მინსკში

ბელორუსიის დედაქალაქის მინსკის ცენტრში თანამედროვე შენობების გვერდით დგას პატარა ერთსართულიანი, გასული საუკუნის სტილი ნაგები ხის სახლი.

ეს სახლ-მუზეუმია. აქ 65 წლის წინათ, 1898 წლის 1-3 მარტს (ძველი სტილით) საიდუმლო სხდომები ჰქონდა რუსეთის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობას. ყრილობაში მონაწილეობას იღებდა ცხრა კაცი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ყრილობას არ დასწრებია, იმ დროს იგი გადასახლებაში იყო.

ყრილობამ, როგორც ცნობილია, მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის შესახებ და აირჩია ცენტრალური კომიტეტი სამი კაცისაგან. ყრილობის შემდეგ მეფის პოლიციამ მალევე დააპატიმრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობის 65-ე წლისთავის გამო

□

რუსეთში რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის ამოცანა პირველმა ყრილობამ ფაქტიურად ვერ გადაჭრა. ეს ამოცანა შემდეგში შეასრულეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა. მაგრამ ყრილობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან გამოაცხადა მუშათა პარტიის შექმნა და ეს ამბავი ამხნევებდა რევოლუციონერებს იატაკქვეშა მუშაობის ძნელ პირობებში, უსახავდა მათ ფართო პერსპექტივებს.

მუზეუმის ექსპონატები დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ ისტორიულ მოვლენაზე. სახლში ზუსტად არის აღდგენილი ის მოწყობილობა, რომელიც აქ ყრილობის დღეებში იყო: დარაბები ფანჯრებზე, ნავთის კიდული ლამპა, შორენკეცის ღუმელები, ძველებური კედლის საათი, მძიმე ავეჯი... მაგრამ ეს იმ დროის ნამდვილი ნივთები კი არ არის, არამედ მათი პირებია, ვინაიდან ომის დასაწყისში ის სახლი, სადაც ყრილობა მიმდინარეობდა, მინსკზე ფაშისტური ავიაციის თავდასხმის შედეგად დაიწვა.

სახლ-მუზეუმში ყოველთვის ბევრი ხალხია. მაგალითად, შარშან აქ 50 ათასზე მეტი მნახველი იყო.

მუზეუმის საპატიო სტუმართა წიგნი უკვე რამდენიმე დიდ ტომს შეადგენს. აი რა ჩაწერა ამ წიგნში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მორის ტორეზმა: „ამ უბრალო სახლში, სადაც გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პირველი ყრილობა, თვითეული პროლეტარი ღრმა მღელვარებას განიცდის. აქ საფუძველი ჩაეყარა პარტიას, რომელიც მზრუნველობით გამოზარდა და სახელოვან ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მიიყვანა ვ. ი. ლენინმა".

მუზეუმის დოკუმენტებს შორის არის ძველი მინსკის ფოტოსურათები — დაბალი ქოხმახები, ცხენის ტრამვაი, ქვაფენილზე რომ მირახრახებს, უბადრუკი კუსტარული სახელოსნოები, საცოდავი სინემატოგრაფი უგემოვნო რეკლამით. მივარდნილი პატარა ქალაქი. და აი თქვენ დაამთავრეთ წარსულში მოგზაურობა, გამოდიხართ მუზეუმიდან, და მაშინვე აღმოჩნდებით გაკაშკაშებულ გამარჯვების მოედანზე, რომელზეც მუდამ ბევრი ხალხი მიდი-მოდის. მოედანს გარს არტყია ლამაზი სახლები, საუცხოო პარკები. მაღლა ატყორცნილა ტელევიზიის ფოლადის კოშკი.

ბორის უსტინოვი,
საგენტო „ახალი ამბების" კორესპონდენტი.

მინსკი. სახლი, რომელშიც გაიმართა რსდმპ I ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულობა და ხალხურობა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია

ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა პარტიულობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი მიესალმება ყველას — ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც მოსუც, ისე ახალგაზრდა მოღვაწეებს, პარტიულებსა და უპარტიოებს, რომლებიც მტკიცედ ადგანან კომუნისტური იდეურობის პოზიციებს მხატვრული შემოქმედების საკითხებში. ისინი პარტიის დასაყრდენი, მისი ერთგული ჯარიანები არიან.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

მხატვრული სიტყვის ძალა

ოდესაც შანდორ პეტეფიმ უნგრეთის პარლამენტს თავისი ლექსი „სიბრძოლო სიდიერა" გაუგზავნა და თან ასეთი წერილი გააყოლა:

„დეპუტატებო და მოქალაქენო!

თუ რა ძალა აქვს პატარა ლექსს, ამას მოწმობს წერილი ერთი ფრანგი გენერლისა, რომელმაც საფრანგეთის რევოლუციის ეპოქაში კონვენტს წერილი მოსწერა: მტერმა გაიფერთხი შემოგვეტია და ან ჯარები მომაშველეთ ან „მარსელიოზას" ტექსტი და ნოტები გამომიგზავნეთო.

თუ თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ლექსს შეუძლია აღაფრთოვანოს ჩვენი ჯერმერები, დაბეჭდეთ იგი იმ რაოდენობით, რომ ეყოს მთელ ჩვენს ჯარებს".

აი რა კარგად იცოდა სახელოვანმა პეტეფიმ, რომ თვით პატარა ლექსსაც ძლიერი შეტევითი ძალა აქვს. მაგრამ ეს ჭეშმარიტება არაჩოდეს ისე ნათლად, ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არ დადასტურებულა, როგორც ეს მოხდა ჩვენს სამშობლოში, როცა ჩვენი ხალხი ებრძოდა შემოსეულ ფაშისტთა ურდოებს.

მაშინ ჩვენ ყველანი — დიდიც და პატარაც, მობილიზებული ვიყავით ჩვენივე გულისა და სინდისის კარნახით და ლექსიც მობილიზებული იყო; ის თან ახლდა ჯარისკაცს სანგარში, ძელმიწურში, სატყეოს, ცოლის თუ დედის წერილთან ერთად.

დღეს კი ლექსი უძარო და უკიდეგანო კოსმოსში წასულ მფრინავს მიაქვს თან; ლექსი თან ახლავს ჩვენს შრომას კომუნიზმის ასაშენებლად. მინდორში, ფაბრიკაში, ოჯახში, შინ და გარეთ, ყველგან, სადაც ადამიანი შრომობს თუ ლხინს ეძლევა.

აი ასეთი ისტორიული როლი აქვს დაკისრებული მწერლის სიტყვას, მხატვრის სურათს, კომპოზიტორის სიმღერას, მსახიობის გამოჩენას სცენაზე თუ ეკრანზე. ის აწრთობს, წარმართავს ადამიანს.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ამ დიად ძალაზე გვესაუბრება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ვრცელი სიტყვა, წარმოთქმული კრემლში ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებთან შეხვედრის დროს.

ეს სიტყვა გამსჭვალულია უღრმესი და გულთბილი ზრუნვით ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ. ამ სიტყვაში ყოველი შემოქმედი, როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი თაობის ოსტატი პოულობს ნათელ და ამომწურავ პასუხს თანამედროვე, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების უაღრესად რთულ საკითხებზე.

ჩვენმა დრომ ჭეშმარიტად ფრთები შეასხა შემოქმედის ფანტაზიას. და ყველაფერი კარგი, წარმტაცი, ამამაღლებელი და აღმზრდელი ადამიანისა, რაც ჩვენი სულიერი კულტურის სფეროში იქმნება, შეღწევა პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვისა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლების განძილზე შექმნილი ყველა ნაწარმოები როდი უპასუხებს და როდი შეეფერება ჩვენი დროის მაღალ მოთხოვნებს. ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეულ ნაწარმოებებში შესამჩნევია უცხო იდეებით გატაცება, მყვირალა დასავლური მოდის აყოლა, ინფესიანი სენსაციანობა გამოდევნება, რაც სრულიად შეუფერებელია საბჭოთა მწერლისათვის, საბჭოთა ხელოვანისათვის.

პარტიამ პირდაპირ, მაღალი პრინციპულობით მიგვითითა ამ ნაკლოვანებებზე და ზოგიერთთა ამ დაბნეულობის, შეცდომების დაძლევის გზებიც გვიჩვენა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებზე, შესანიშნავ ნაწარმოებებზე, რომლებიც შეიქმნა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და რომლებითაც ამაყობს ჩვენი ხალხი; ამასთან მან აღნიშნა, თუ რაოდენ შეუთავსებელია ამ მაღალ ხელოვნებასთან ფორმალისტური თუ აბსტრაქციონისტული ინობანობა.

სოციალისტური რეალიზმი ფართო გზას უხსნის ყოველ შემოქმედს ახლის, ნოვატორულის ძიებისათვის. ეს თვით ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს — ახალ ყველა ხედავს, თუ რაოდენ თვალუწვდენელ სიმაღლეებს იპყრობს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანი და ნოვატორული ძიება მისი სულიერი შემოქმედების, მთელი მისი საქმიანობის განუყრელი მზარეა.

და, ცხადია, ამ გზით წარმართავს პარტია ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებასაც.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტია, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მთელი საბჭოთა მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნებისთვისა, კერძოდ ქართული კულტურისათვის; ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის აღტაცება, ის გულწრფელი სინორული, რომლითაც ქართველი ინტელიგენცია შეხვდა ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას.

ლენინური პარტიის მოწოდება, პარტიის ხელმძღვანელობა ჩვენი ახალი წარმატებების ურყევი საფუძველია — ერთსულოვნად აღნიშნავენ ქართველი მწერლები და მხატვრები, მუსიკოსები და მსახიობები, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, მთელი ჩვენი ხალხი.

გიორგი ნატროშვილი.

ვ უ მ ღ ე რ ო თ ცხოვრების სილამაზეს

პარტიამ დროულად გაამახვილა ყურადღება ლიტერატურაში და ხელოვნებაში არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებებზე და პრინციპული, პარტიული კრიტიკის საგნად აქცია იგი. ამხანაგ ხიკიტა სეргეის-ძე ხრუშჩოვის სიტყვა, წარმოთქმული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ამა წლის 8 მარტს, საპროგრამო სიტყვაა. ამ სიტყვაში მოცემულია მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თეორიული საფუძვლები, ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპები, ლიტერატურისა და ხელოვნებას ამოცანები კომუნიზმის გაშლილი შენებლობის პერიოდში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ საბჭოთა კინემატოგრაფის სამართლიან კრიტიკაში უნდა ვხედავდეთ იმ ნაკლოვანებათა კრიტიკასაც, ქართულ კინემატოგრაფიას რომ აქვს და რომელთა მხილებას, გულწრფელ, პირდაპირ აღიარებას არ უნდა ვერიდებოდეთ.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართულმა კინომ გარკვეული წარმატებანი მოიპოვა. შეიქმნა ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი მხატვრული კინოფილმი. კინოში მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც მოიტანა შემოქმედებითი სიახლე. იყო ცდები თანამედროვე ცხოვრების ახლებურად დანახვისა, ცდები ახალ ფორმათა ძიებისა, მაგრამ ამავე დროს ადგილი ჰქონდა იმ კარგი ტრადიციების უარყოფას, რაც ახასიათებდა ქართულ კინემატოგრაფიას მისი აღმავლობის პერიოდში. ასეთ ტენდენციებს არ შეიძლებოდა კარგი შედეგი მოეტანა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეგრეთწოდებული „ნოვატორული" ფილმების გვერდით ხშირად იქმნებოდა ისეთი ფილმები, რომლებიც როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ მეტად დაბალ დონეზე იდგნენ და ხელოვნებასთან საერთო არა ჰქონდათ რა. ჩვენმა კინემატოგრაფისტთა კავშირმა კი თავის დროზე ვერ გამოიჩინა ისეთი პრინციპულობა, რომ ესა თუ ის ნაწარმოები ნამდვილი კრიტიკის საგნად გაეხადა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ალბათ ისე არსად არ გაურბიან კრიტიკას, იმ არსად არ ერიდებიან მას, როგორც კინემატოგრაფისტთა რიგებში. კრიტიკის შეუვალობის სფეროში მოქცეულია როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობა. უნდა ითქვას, არც ჩვენი ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთი გვიწყობს ხელს. ზოგიერთი სურათის მიმართ ან არაფერი ითქმება ან მათი გარჩევა საგაზეთო წერილში სურათის შინაარსის გადმოცემით ამოიწურება. ზოგჯერ კი ფილმს გადაღების პროცესში ანდენი ხოტბა და დიდება მიეძღვნება, რომ მაყურებელი მოელის რაღაც არაჩვეულებრივ ზენიჭიერ ნაწარმოებს, ახალ სიტყვას კინემატოგრაფიაში. ფილმი გამოდის და იმედებს არ ამართლებს. ტენდენციური კრიტიკა შემოქმედს ვერ მოუტანს საჭირო დახმარებას, ხელს არ შეუწყობს მის ზრდასა და განვითარებას.

ჩვენი ქვეყანა დღეს კომუნიზმის მშენებლობის აღმავლობის გზაზეა, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება რთული და მრავალწახნაგოვანია. ცხოვრების სწორად ასახვა მოითხოვს ცხოვრების ღრმა ცოდნასა და ნიადაგ შესწავლას. ეს ეხება ყველა ხელოვნებს, რომელ თაობასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის ყველა ეტაპზე, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა პერიოდში კინო პარტიის ერთგული თანაშემწე და ხალხის ერთგული მსახური იყო. დაძაბული იდეური ბრძოლაა დღეს ორ — სოციალისტურ და კაპიტალისტურ საყაროს შორის. პარტია, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კიხოს შემოქმედებითი ძალებისაგან მოითხოვენ მარქსისტულ-ლენინური აზროვნების ღრმა ცოდნას, ჩვენი ყურადღების გამახვილებას, რომ კინოხელოვნება მტკიცედ იდგეს პარტიის მაღალ პრინციპულ პოზიციებზე და ჩვენ მიერ შექმნილი კინოფილმები ნამდვილად ემსახურებოდეს საბჭოთა ხალხის ინტერესებს.

შემოქმედებითი პროცესის დროს ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს ჩვენი ხალხის სურვილები, მისი გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნილებები და არა ის, თუ რას რტყვის ორი თუ სამი კრიტიკოსი ამა თუ იმ საზღვარგარეთულ ფესტივალზე.

სტუდია „ქართული ფილმი" საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე სტუდიაა. მას ჰყავს შესანიშნავი შემოქმედებითი კადრები როგორც უფროსი და საშუალო, ისე ახალგაზრდა თაობისა. ქართულ კინოს შეუძლია ნამდვილად მისცეს ქვეყანას შესანიშნავი კინოფილმები. ამის ძალა შესწევს ჩვენს სტუდიას და მის შემოქმედებითს კადრებს.

მაგრამ თუ ჩვენი მუშაობა გაგრძელდა ურთიერთ უნდობლობის ატმოსფეროში, თუ გაგრძელდა ის „ფეოდალური" კარჩაკეტილობა, რომელიც ახასიათებს დღეს ჩვენს შემოქმედებითს კოლექტივებს, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ გავშალოთ ნამდვილი მეგობრული კრიტიკა ჩვენი სურათების მიმართ (ჯერ კიდევ მათი წარმოების პერიოდში), ვერ შევძლებთ ქართული კინემატოგრაფიის ჭეშმარიტად დიდ გზაზე გამოყვანას, ვერ შეეძლებთ ვიყოთ ხალხის ერთგული მსახური.

სიკო დოლიძე,
კინორეჟისორი, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის პირველი მდივანი.

საპროგრამო დოკუმენტი

პარაღა, 12 მარტი. (საკდესი). ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი მწერალი ირჟი მარეკი ესაუბრა საკდესის კორესპონდენტს და გაუზიარა მას შთაბეჭდილებანი ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებმა, რომ საჭიროა იდეოლოგიური ბრძოლა, რომ ხელოვნება პარტიულია და სოციალისტური რეალიზმი უეჭველად გაიმარჯვებს, გარკვეული პასუხი გასცეს ბევრ კითხვაზე, რომლებიც დისკუსიის საგანი იყო უკანასკნელ დროს, თქვა მან.

საბჭოთა ლიტერატურა გასაგებია ჩემთვის. მას ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს. თავისი ახალი დამოკიდებულებით ადამიანისადმი და მისი თანამედროვე პრობლემატიკისადმი იგი მაგალითი გახდა ჩვენი ლიტერატურისათვისაც.

რასაკვირველია, ლიტერატურა ღრუბლებიდან როდი წარმოიშობა. სწორედ ჩვენს დღეებში ძნელია დავიცვათ იგი ჩვენთვის მტრული იდეოლოგიის შემოღწევისაგან. სწორედ ამიტომ ძალიან დიდმნიშვნელოვანია ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ ამ ფრონტზე არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს სიტყვები აიარაღებენ საბჭოთა მწერლებს კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებისათვის, ახალი ჰუმანიზმის, თანამედროვე ადამიანის ჰუმანიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ულან-ბაპორი, 11 მარტი. (საკდესი). „ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი და სასიხარულო მოვლენაა სოციალისტური კულტურის სამყაროში; ამ სიტყვაში გაშუქებული საკითხები საჭირბოროტო და აქტუალურია არა მარტო ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის". ეს განაცხადა საკდესს კორესპონდენტთან საუბარში ცნობილმა მონღოლმა პოეტმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **ჩ. ლხაგსურენმა.** მან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრაზე კრემლში საპროგრამო დოკუმენტი უწოდა.

ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვა, თქვა ჩ. ლხამსურენმა, ადასტურებს სოციალისტური რეალიზმის — სოციალისტური ქვეყნებისა და პროლეტარული ლიტერატურის მწერალთა ამ საერთო შემოქმედებითი მეთოდის ცხოველმყოფელობას, „ეს მეთოდი, — ხაზი გაუსვა მან, — ცოცხლობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრჯერ დაასამარეს ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა".

ა. ფანფანი ესაუბრა ა. აჯუბეის

რომი, 12 მარტი. (საკდესი). დღეს იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფანფანიმ მიიღო გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი, „სსრ კავშირ-იტალიის" საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ა. ი. აჯუბეი და ესაუბრა მას.

ლაიფციგის გაზრდა დაიხურა

ბერლინი, 13 მარტი. (საკდესი). გუშინ ლაიფციგში დაიხურა 1963 წლის საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობა. ბაზრობის მუშაობას 10 დღის განმავლობაში იქ ჩავიდნენ სტუმრები მსოფლიოს 90 ქვეყნიდან, დამთვალიერებელთა საერთო რიცხვი კი ნახევარ მილიონს უახლოვდება.

ბაზრობამ ცხადყო ხაბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო განვითარების წარმატებანი და საექსპორტო შესაძლებლობანი. ბევრ ექსპონატს, რომლებიც ამ ქვეყნებმა გამოაფინეს, მიეკუთვნა სპეციალური დიპლომები საუკეთესო ხარისხისა და მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე შესრულებისათვის. მაგალითად, ბაზრობის კომიტეტის მიერ გაცემული 120 დიპლომიდან 13 მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის ექსპონატებს.

ახალი სავსეკავრ

ბაღდადი, 13 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ალ-ურეა ალ-ვასიკას" ცნობით, ერაყის გენერალ-გუბერნატორმა სამხედრო სასამართლოს გადასცა 51 ერაყელი. მათ რიცხვში არიან — ოფიცრები, ჯარისკაცები და სამოქალაქო პირები, კერძოდ, კომუნისტური პარტიის წევრები.

საბჭოთა კავშირი დიდ ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას უწევს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სამთამადნო მრეწველობის გაფართოებასა და განვითარებაში. სსრ კავშირის ხელშეწყობით აღდგენილ იქნა ტიენ ტუკის კალის სამადნე, ლაო კაის აპატიტის სამადნე და ლანგ სამის ქვანახშირის შახტები. საბჭოთა კავშირიდან მიწოდებულ იქნა მოწყობილობა და მანქანები ხონგაის ქვანახშირის ღია სამადნეებისათვის.

სურათზე: ხონგაის აუზის ქვანახშირის ნაგმისადგომი.

ფოტო ვია-საკდესისა.

იზრდება კომუნისტთა რიგები

ლონდონი, 12 მარტი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა გამოაცხადა, რომ ამას წინათ დამთავრდა პარტიის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია. ცნობის თანახმად, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წევრთა რიცხვი ამჟამად 33.008 კაცს შეადგენს. მარტო ხელახალი რეგისტრაციის დროს, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა, პარტიაში შევიდა ათასზე მეტი ახალი წევრი.

აღმასკომი მოუწოდებს კომუნისტებს გაშლონ ფართო კამპანია, რათა მიიზიდონ ახალი წევრები დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის რიგებში ისე, რომ პარტიის წევრთა რიცხვი მომავალი XXVIII ყრილობისათვის, რომელიც ამრილში გაიმართება, აიყვანონ 35 ათასამდე.

საკუთარ ბუნაგში

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). კატანგის „პრეზიდენტი" ჩომბე ექვსი კვირის განმავლობაში „იყურნავდა მხედველობას" ფიფრინგეთში. გუშინ იგი ელზაბეტვილ დაბრუნდა, თავის ბანაკში. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ჩომბეს სრული შემადგენლობით შეხვდნენ „მისი მინისტრები" და მომხრეთა ჯგუფი, რომელთაც ხელი ეჭირათ კატანგის „ეროვნული" ალმები და თვით ჩომბეს პორტრეტები.

ქალაქში ჩასვლის შემდეგ ჩომბემ სიტყვით მიმართა შეკრებილთ და განაცხადა, რომ მზად არის „მოკავდეს კატანგის ხალხთან ერთად". მისი სიტყვიდან ჩანს, რომ ჩომბეს არ ეშინია ხელი სეპარატისტულ მისწრაფებებზე.

ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი გვატყობინებს

□ **უნგრეთის** სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა დანიშნა 21 მარტს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ახლად არჩეული სახელმწიფო კრების პირველი სხესია. სესია განიხილავს არჩევნების შედეგებს, აირჩევს სახელმწიფო კრების ხელმძღვანელ ორგანოებსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმს.

□ **ოკინავაში** იაპონიასთან შეერთების ხელშემწყობმა საზოგადოებამ მიმართა რიუკიუს კუნძულების დემოკრატიულ ორგანიზაციებს და მოუწოდა გამართონ 1-დან 28 აპრილამდე ოკინავას განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთთვიური. საზოგადოებამ გადაწყვიტა მოაწყოს მიტინგები, სემინარები, ლექციები, აგრეთვე განახორციელოს კამპანია იმ მოთხოვნაზე ხელმოწერის შესაგროვებლად, რომელსაც იაპონის პარლამენტსა და იაპონის რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრებას გაუგზავნიან, განახორციელოს აქტიური ღონისძიებანი იაპონიასთან ოკინავას შეერთებისათვის.

□ **ვარშავაში** ხელი მოაწერეს პოლონეთისა და საფრანგეთის საქონელგაცვლის შეთანხმებას 1963 წლისათვის. შეთანხმებით გათვალისწინებულია დაახლოებით 20 პროცენტით გაიზარდოს საქონელბრუნვა.

□ **უკანასკნელი** ორი დღის მანძილზე სამხრეთ ვიეტნამის ჯუნგლში დაეხეხა ამერიკელთა 6 ვერტმფრინავი, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან.

ვერტმფრინავები მონაწილეობდნენ მაშველ ოპერაციებში 300 მილზე საიგონის ჩრდილოეთით, სადაც გასული კვირის დასლევს ჩამოაგდეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავი.

□ **10.285.053 კაცი** ცხოვრობდა იაპონიის დედაქალაქში ამა წლის 1 თებერვლისათვის. ტოკიოს მოსახლეობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა თითქმის 282 ათასი კაცით.

□ **სამხრეთ-დასავლეთ** თურქეთში, განსაკუთრებით კი დენიზლის რაიონში (ეგეოსის ზღვის სანაპირო), 11 მარტს იგრძნობოდა საშუალო ძალის ორი მიწისძვრა ბიძგი, რომელმაც ერთგვარი ზარალი გამოიწვია, მაგრამ მსხვერპლი არ მოჰყოლია. მიწისძვრა ბიძგები იგრძნობოდა აგრეთვე იზმირში.

□ **კალკუტაში** დაიწყო ქაშმირის საკითხზე ინდოეთისა და პაკისტანის მოლაპარაკების მეოთხე ტური. ინდოეთის დელეგაციას მოლაპარაკებაში მეთაურობს მინისტრი სვარან სინგი.

(საკდესი).

წყალდიდობა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკდესი). კოკისპირული წვიმების შემდეგ წყალდიდობამ დიდი უბედურება მოუტანა კენტუკის შტატის აღმოსავლეთ ნაწილს. ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობით, ქალაქ ჰარლანის 25 ათასმა მცხოვრებმა მიატოვა სახლები და უსაშიშრო რაიონებში გადადის. დაბა პიკევილის მახლობლად წყალმა წალეკა ქვანახშირით დატვირთული შვიდვაგონიანი შემადგენლობა. ერთი კაცი დაიღუბა.

სტიქიური უბედურება დაატყდა თავს ქალაქ ჰაზარდს, რომელიც უკანასკნელ დროს თითქმა მსოფლიომ გაიცნო: აქ რამდენიმე თვეა მაღაროელები აწარმოებენ უთანასწორო და შეუპოვარ ბრძოლას მეწარმეებთან შახტების დხურვის წინააღმდეგ.

ბიდო იმედოვნებს, ბონი ამხნევებს

„ვიმედოვნებ, რომ დავრჩები გერმანიაში", — განაცხადა საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ახლა კი საფრანგეთის ტერორისტული ორგანიზაციის ოას-ის ლიდერმა ჟორჟ ბიდომ, რომელისკენაც მიმართული იყო ფოტო და კინოოპერატორთა „ბლიცები". ბიდომ ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როცა ავტომანქანაში ჩაჯდა საპოლიციო უბანში მორიგი „დაკითხვის" შემდეგ, რათა დაბრუნებულიყო თავის ახალ „რეზიდენციაში" — ბავარიის პატარა ქალაქ შტაინბახში მცხოვრები ერთი დასავლეთგერმანელი ჟურნალისტის სახლში.

უკანასკნელ თვეებში ბიდომ არაერთხელ გამოიცვალა ბინა და საცხოვრებელი ადგილი, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა. ახლა კი ამჟამად სურს თავი დაიდოს ამ მტანჯველ ხეტიალს და გაიკეთოს მუდმივი ბუდე ბონის ხელისუფალთა მფარველობით. ოას-ელთა მეთაურმა, ცხადია, გადაწყვიტა ლეგალურად დაბინავდეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საჩქაროდ გაუგზავნა კანცლერ ადენაუერს "წერილი, რომელშიც სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი დასავლეთ გერმანიაში.

როგორც დპას საგენტო იუწყება, ადენაუერმა არ ინება ბიდოს წერილს წაკითხვა და უკანვე გაუგზავნა, ისე რომ არც კი გაუხსნია. მაგრამ ეს ჟესტი საეჭვოა მივიჩნიოთ უარის თქმად. როგორც ბონის წრეებში აღნიშნავენ, ბიდოს მხოლოდ მისამართი შეეშალა. თურმე, მას თხოვნა უნდა გაეგზავნა არა ადენაუერისათვის, არამედ ბავარიის მხარის ხელისუფალთათვის, სადაც იმყოფება ეგი ამჟამად. ტყუილად როდი განცხადა ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა იუსტერმა გუშინ, რომ სანამ ბიდოს მიეცემა პოლიტიკური თავშესაფარი „გარკვეულ პირობებში", იგი მიიღებს ბავარიაში ცხოვრების დროებით ნებართვას.

ასეთი დაპირებით გამხნევებულ ოასელთა მეთაურს არ ერიდება და უკვე თვითონ აყენებს პირობებს. როგორც დპას საგენტო იუწყება, მან გადაკვრით თქვა, რომ არ სურს ხელი აიღოს „პოლიტიკურ მოღვაწეობაზე საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში". დასაწყისისათვის ბიდოს განზრახული აქვს გამართოს უახლოეს დღეებში პრეს-კონფერენცია. ოფიციალური ბონი კვლავ დუმს „ბიდოს საქმის" გამო, ეტყობა, არ სურს გაიფუჭოს ურთიერთობა დე გოლთან. ბავარიის ადგილობრივი ხელისუფლები კი, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამაობაში ახორციელებენ „ყველა საჭირო ღონისძიებას ბიდოს უშიშროების უზრუნველსაყოფად", რათა მასაც წილად არ ხვდეს მეორე თვალსაჩინო ოას-ელის პოლკოვნიკ არგუს ბედი, რომელიც ამას წინათ მოიტაცეს მიუნხენში.

როგორც ჩანს, ფრანგ ტერორისტთა ლიდერმა იცოდა, საით წასულიყო.

ვ. გორდეევი,
საკდესის კომენტატორი.

ქიმიური ომი სამხრეთ ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 12 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ბოგაჩოვი იუწყება:

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლები „ყოველნაირად ცდილობენ „უარყონ" ცნობები იმის შესახებ, რომ ამერიკის მბედრონი ქიმიურ ომს აწარმოებს სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ზედიზედ აქვეყნებენ განცხადებებს, ფარისევლურად ამტკიცებენ, რომ ამერიკის თვითმფრინავები აფრქვევენ პარტიზანთა რაიონებში იმის მსგავს „სრულიად უვნებელ ნივთიერებებს", რომლებსაც იყენებენ „ჩოგბურთის კორტებზე სარეველების მოსასპობად". მკვლელები ცდილობენ საქმე ისე წარმოსახონ, თითქოს შხამს აფრქვევენ მხოლოდ იმისათვის, რომ „ფოთლები მოსპონ" პარტიზანთა განლაგების ადგილებში და არ იყენებენ ადამიანებისა ან ბრინჯის მინდვრების წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე დღით ადრე, სანამ პენტაგონი „გულისწყრომით უარყოფდა" ცნობებს, დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სენატორმა მენსფილდმა მოითხოვა დუდმანის სტატიები შეიტანონ კონგრესის ოფიციალურ ანგარიშებში და ამ სტატიებს უწოდა „პირველხარისხოვანი რეპორტაჟი".

ასოშიეიტედ პრესის საგენტო საიგონიდან იუწყება, რომ ნგო დინ დიემის მარიონეტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზეც კი იმართება ვლეხთა მასობრივი დემონსტრაციები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის წ

თერთმეტი წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ა. ს. მაკარენკო უმაღლესი განათლების მისაღებად შევიდა პოლტავის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა ოქტომბრის რევოლუციამ. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1920 წლის სექტემბრამდე, შემდეგ პოლტავის გუბერნიის სახალხო განათლების განყოფილების გამგის დავალებით მოაწყო კოლონია არა სრულწლოვან დამნაშავეთათვის. შეუპოვარი ბრძოლით, თავდადებით, დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვით, სწორი პედაგოგიური მიდგომით ა. მაკარენკომ შეძლო უდისციპლინო მოზარდთაგან აღზარდა საშობლოსათვის საჭირო და სასარგებლო, ადამიანები, შეძლო „ადამიანების ახლებურად აღზრდა“.

„მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიის ძველი გამოცდილება არ ვარგოდა,“ — წერს მაკარენკო — მას არც ახალი გამოცდილება გააჩნდა და არც საამისო წიგნები, „ვერავითარი „მეცნიერული“ გამოსავალი ვერ ვნახე. იძულებული გავხდი უშეალოდ მიმემართა ჩემი ძველი წარმოდგენებისათვის ადამიანზე. ჩემთვის კი ეს ნიშნავდა მიმემართა გორკისათვის“.

ა. ს. მაკარენკო მტკიცედ ახორციელებდა აღზრდის მის მიერ ნაცად წესს: „რაც შეიძლება მეტი პატივისცემა ადამიანისადმი და რაც შეიძლება მეტი მომთხოვნელობა მის მიმართ.“

ადამიანისადმი ასეთი ახლებური დამოკიდებულება მაკარენკომ ისწავლა მ. გორკისაგან, რომელთანაც მას გაწეწყვეტილი მიწერ-მოწერა ჰქონდა.

მ. გორკი დიდად აფასებდა ა. მაკარენკოს მეტად სასარგებლო საქმიანობას.

ოცდახუთი წლის ანტონ სიმონის-ძე მაკარენკომ დაწერა მოთხრობა „უაზრო დღე“ და გაუგზავნა გორკის. გორკიმ დაწყებულ მწერალს უპასუხა: „მოთხრობის თემა საინტერესოა, მაგრამ სუსტად არის დაწერილი, ხუცესის განცდათა დრამატიზმი ბუნდოვანია, ფონი არ არის ნახატული, ხოლო დიალოგი ინტერესმოკლებულია. სცადეთ სხვა რამ დაწეროთ.“

როგორც თვითონ ამბობს, ა. ს. მაკარენკოს არ უნდოდა ალექსი მაქსიმეს-ძის თვალში რიგიანი პედაგოგიდან უხეირო მწერლად გადაქცეულიყო. მიუხედავად ასეთი აზრისა, ა. მაკარენკოს მაინც არ აუღია ხელი მწერლობაზე და შეძლო ისეთი დიდმხმხმგზველოვან ნაწარმოებთა შექმნა, როგორიც არის „პედაგოგიური პოემა“, „ოცდაათი წლის მარში“, „ალმები კოშკებზე“, „ბოლო ნათელი“ და სხვ.

ა. ს. მაკარენკოს ნაწერები შვიდ ტომად გამოიცა. ამან სრული შესაძლებლობა მოგვცა კარგად შეეისწავლოთ შესანიშნავი პედაგოგი და მწერალი, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა ფასდაუდებელი პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა მან.

ა. ს. მაკარენკო დღე-ღამეში 17-18 საათს მუშაობდა. ასეთმა თავდადებულმა და მოუსვენარმა შრომამ უდროოდ გატეხა ანტონ სიმონის-ძე, და 1939 წლის 1 აპრილს იგი უეცრად გარდაიცვალა მატარებელში, როცა მწერალთა დასასვენებელი სახლიდან მოსკოვს ბრუნდებოდა.

ცნობილი პედაგოგისა და მწერლის ა. ს. მაკარენკოს მოღვაწეობა ცალმხრივად იქნება გაშუქებული, თუ არ მოვგონეთ მისი მრავალფეროვანი საღმზრდელო ხასიათის ლექციები, რომლებიც ცალკე კრებულადაც არის გამოცემული და მშობელთა და მასწავლებელთათვის სამაგალითო წიგნად ითვლება.

ღირსეულ შეფასებას აძლევდნენ და დღესაც აძლევენ ა. ს. მაკარენკოს როგორც პედაგოგსა და მწერალს, განსაკუთრებით მის საქვეყნად სახელმოხვეჭილ შრომებს, რომლებიც ლოგიკური სიძლიერით, სიმართლით, ფაქტებზე დაყრდნობით მოგვითხრობენ, თუ როგორ უნდა აღზარდოთ მომავალი თაობა არა მარტო ინდივიდუალური ბედნიერებისათვის, არამედ საერთო ბედნიერებისა და მშვიდობისათვის, მეგობრობისა და კეთილდღეობისათვის.

არკადი ხუნდაძე.

ა. ს. მაკარენკოს დაბადების 75 წლისთავის გამო

დიდი პედაგოგი და მწერალი

ᲛᲐᲙᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ...

თბილისში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგისა და მწერლის ანტონ სიმონის-ძე მაკარენკოს დაბადების 75 წლისთავს. სესია მოიწვია გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ფოფხაძემ.

სესიის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატების დ. გურგენიძის, ნ. ფანოზიშვილის, გ. ჭანიშვილის, ა. მიშველაძისა და ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ტ. ოდილაძის მოხსენებები. (საქდესი).

ᲛᲐᲙᲐᲠᲔᲜᲙᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ...

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲔᲠᲗ ᲫᲕᲔᲚ ᲤᲘᲚᲛᲖᲔ

გასულ წელს გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის“ და „კომუნისტის“ 15 და 16 ნოემბრის ნომრებში დაიბეჭდა წერილები: „უძველესი ფირი“ (ავტორი მ. მირიანაშვილი) და „ფიროსმანის სახე“ (ავტორი შ. ლომსაძე), რომლებშიც ავტორები ფართო საზოგადოებრიობას მოუთხრობენ ახალ აღმოჩენილი (1911 წელს გადაღებული) დოკუმენტური ფილმის „დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვის“ შესახებ.

აღნიშნული წერილების გამო გაზეთ „კომუნისტის“ redაქციაში შემოვიდა შეკითხვები, რომლებიც ეხება ამ წერილებში გამოთქმულ აზრებს, განსაკუთრებით კი უკვე ცნობილი ფილმის „აკაკი წერეთლის მოგზაურობის“ და ახალაღმოჩენილი ფილმის „დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვის“ ადგილს ქართული კინოხელოვნების ისტორიაში.

ქვემოთ ვბეჭდავთ ქართული კინოს ისტორიკოსის, კინოდრამატურგ კარლო გოგოძის პასუხს ამ შეკითხვებზე.

ნახევარი საუკუნის წინათ გადაღებული ქრონიკალური ფილმი, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრების ერთ მომენტს ასახავს, უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა საქართველოში რევოლუციამდელი კინემატოგრაფიის განვითარების გზაზე.

მით უფრო მეტი იქნება მნიშვნელობა, თუ მართლაც დადასტურდა, რომ ფილმში ნამდვილად არის გადაღებული დიდი ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით წერილების ავტორებს, ფილმის მნიშვნელობის შესახებ როცა ლაპარაკობენ, მაგრამ არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ მოსაზრებებში, რომლებიც ფილმების „დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვისა“ და „აკაკის მოგზაურობის“ ურთიერთობას ეხება.

ფილმის „დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვის“ აღმოჩენისა და მისი მნიშვნელობის შესახებ რომ ლაპარაკობს, ამხ. მ. მირიანაშვილი სხვათა შორის წერს: „გარდა ამისა, ფირი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი გადაღებულია ერთი წლით ადრე, ვიდრე ქართული კინოხელოვნების ვეტერანის ამაშუკელის მიერ გადაღებული კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, **რომელიც აქამდე პირველ ქართულ კინოფილმად ითვლებოდა“.**

ამხ. შ. ლომსაძე კიდევ უფრო აღრმავებს ამ აზრს. იგი წერს: „კინოფირის აღმოჩენა ასწორებს და აზუსტებს დღემდე გავრცელებულ აზრს, **თითქოს პირველი კინოგადაღება საქართველოში მოხდა 1912 წელს კინოოპერატორ ამაშუკელის მიერ (გადაღებული იყო დოკუმენტური ნარკვევი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“).**

აღნიშნული წერილების პატივცემული ავტორების საყურადღებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთ წერილსა და გამოკვლევაში ქართული კინოხელოვნების არც ერთ მკვლევარს ჯერ არ განუცხადებია, რომ ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ პირველ ქართულ ფილმად ითვლება, რომ „პირველი კინოგადაღება საქართველოში მოხდა 1912 წელს კინოოპერატორ ამაშუკელის მიერ (ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“).

პირველი მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს, მეორე აბსოლუტურად მცდარია.

ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ არ არის პირველი ქართული ფილმი. ეს არავის არ უთქვამს და არც შეიძლება ამის თქმა. განა ფილმები „ხონის აბრეშუმის მაფსაღები ფაბრიკა“, „მუშაობა ფერმაში“ (ქუთაისის მახლობლად), „ავერილობა“ (ოპერატორი ვ. ი. ამაშუკელი), „ქებურიას და უტოჩკინის გაფრენები“ (ოპერატორი ა. დ. დიმიტლოვი) და სხვ, რომლებიც გადაღებული იყო 1911 წლამდე, ქართველი ოპერატორების მიერ შექმნილი ქართული ფილმები არ არის?

„აკაკის მოგზაურობის“ პირველობა სულ სხვა რამეში მდგომარეობს.

ქართულ რევოლუციამდელ დოკუმენტურ ფილმებში ჯერჯერობით არ მოგვეპოვება და, ეფიქრობ, არც არის ფილმი, რომელიც თავისი მეტრაჟით, მიზანდასახულობით, ჟანრობრივი თავისებურებით, მხატვრული ხეხებისა და კინემატოგრაფიული მეტყველების გამოყენების მხრივ ფილმს „აკაკი წერეთლის მოგზაურობას“ უტოლდებოდეს.

ამაშია მისი პირველობა.

რაც შეეხება მეორე წერილში ჩამოყალიბებულ აზრს საქართველოში პირველი კინოგადაღების შესახებ, იგი ასევე ეჭვქვეშ აყენებს ამ მომენტს. ეს ეჭვი ეფუძნება ცნობილი უცხოური კინოფილმების „ატტეს“, „გომონის“ და ავრეთვე რუსი კინომწარმოებლების ხანფონკოვისა და დრონკოვის კინოოპერატორები, 1910 წლიდან კი ვ. ამაშუკელი და ალ. დიმიტლოვი (ვ. ი. ამაშუკელი 1908-1909 წლებში ბაქოშიც კი იღებდა კინოსიუჟეტებს ქართულ თემებზე).

ასე რომ, როგორც პირველი, ისე მეორე აზრი ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას.

„დ. ზ. სარაჯიშვილის დაკრძალვის“ ოპერატორი ჯერჯერობით უცნობია ჩვენთვის, მაგრამ გადაღების მანერა, აგრეთვე, რაც მთავარია, გადასაღები მოვლენისადმი დამოკიდებულება მიგვითითებს, რომ ფილმი უცხო კინოოპერატორის მიერ უნდა იყოს გადაღებული.

უცვლელია ფილმს და რწმუნდებით, რომ ოპერატორი გარკვეული დაკვირვებით მოქმედებს, ჩქარობს გადაიღოს მხოლოდ სამგლოვიარო პროცესია. იგი სრულებით არ არის დაინტერესებული ობიექტივის „ყურადღება“ შეაჩეროს რაიმე განსაკუთრებულზე, არ მიმართავს არავითარ კინემატოგრაფიულ ხერხს. სურათში გადაღებული არ არის თვით აკაკი, რომელმაც გრძნობით აღსავსე გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა განსვენებულს.

ფილმი 100 მეტრს არ აღემატება, მოკლებულია მოვლენის გააზრებას, შემოქმედებით გადაწყვეტას.

ფილმის აღმოჩენის ფაქტი კი თავისთავად მეტყველებს, რომ ჩვენს მუზეუმებში, სპეციალური ხასიათის ორგანიზაციებში და კერძო პირებთან ჯერ კიდევ ინახება ძველი კინოფილმები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოში კინოხელოვნების განვითარების ისტორიის შესასწავლად. საჭიროა მათი შეკრება, შეძენა. ამ მხრივ საქართველოს სსრ კინო-ფოტო-ფონოს ცენტრალურ არქივს მეტად დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი.

კარლო გოგოძე.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (საკ. კორ.). წყალქვეშაფრიფებიანი „ვოლგის“ ტიპის ბენზინ კატარღა დაცურავს ბათუმთა კავშირისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ზღვებსა და მდინარეებში. თუმცა ბევრმა არც კი იცის, რომ იგი ბათუმელ გემთმშენებელთა მიერ არის შექმნილი.

ამ დღეებში გემთმშენებლებმა რამდენიმე წყალქვეშაფრთიანი კატარღა ააწყეს. ერთი მათგანი უკვე გაიგზავნა შვეიცარიაში, ხოლო სულ მალე დაამთავრებენ საფრანგეთის დაკვეთას — ააწყობენ ორ წყალქვეშაფრიფებიან „ვოლგის“ ტიპის კატარღას.

□ **ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ.** (საკ. კორ.). საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში უმაღლეს განათლებას 270 სტუდენტი ეუფლება.

ამას წინათ დამთავრდა ზამთრის სესიები. სტუდენტების დიდმა უმრავლესობამ გამოამჟღავნა მომზადების მაღალი დონე.

მკითხველთა ფოტოსურათებიდან

დილა მთის საძოვარზე.

ფოტო ბ. სოფოლოვისა.

„ᲣᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲒᲖᲐᲖᲔ“

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა მორიგი სპექტაკლი — გ. ივანიშვილის „შემთხვევა გზაზე“.

პიესა დადგა რეჟისორმა ნ. ჭანტურიამ, მხატვრულად გაფორმა ვ. კვაჭანტირაძემ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაისამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიაში მაჯის საათებს ახალი პარტია მიიღეს და სექციონერ ვ. საღირაშვილს ჩაბარეს გასაყიდად.

იმ დღესვე გაიყიდა ერთი ოქროს საათი „ოცება“, რომელიც 43 მანეთი გადაიახადეს. მყიდველმა საათი სამაჯურის გასაკეთებლად მეასაოე ლევან კობულაძეს მიუტანს. მეასაათემ უბრალო ცნობისმოყვარეობით იკითხა, თუ რა ღირდა საათი. როცა გაიგო, რომ მასში 43 მანეთია გადახდილი, დაუკვდა და მაღაზიას შეატყობინა, სინამდვილეში კი ეს საათი 95 მანეთი ღირს.

როგორც გამოირკვა, შეცდომა დაშვებულია პენზის საათების ქარხნის მიერ, 95 მანეთის ნაცვლად ფაქტურაში 43 მანეთი ჩაუწერიათ, რაც ქარხნის დირექციას აცნობეს. პატიოსანმა ადამიანებმა სახელმწიფოს დაუზოგეს 1.500 მანეთზე მეტი.

ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲔᲑᲘ

საბჭოთა არქეოლოგებმა ახალი ცნობები მოიპოვეს დასავლეთ პამირის ვაჰანის ხეობის უძველესი მოსახლეობის შესახებ (მე-8 საუკუნე ძველი წელთაღრიცხვით — მე-7 საუკუნე ახალი წელთაღრიცხვით).

თვალსაჩინო საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეები ვარაუდობდნენ, რომ პამირში უნდა ყოფილიყო ეფტალიტების — ძლიერი ტომობრივი გაერთიანების დედაქალაქი.

ჩვენი კვლევის რაიონი კიდევაც რომ არ ყოფილიყო ვრცელი სახელმწიფოს დედაქალაქი, უეჭველია მნიშვნელოვანი პროვინციული ცენტრი იყო „დიდ აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ შტოზე, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გათხრების მონაწილემ ტაჯიკმა არქეოლოგმა აჭამ ბაბაევმა.

მდინარე პიანჯის ზეპოლოში 8.500 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან მეცნიერებმა აღმოაჩინეს ეგრეთწოდებული „დუმილის კოშკები“. ასეთი ტიპის სამარხები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეგვხვედრია მხოლოდ გათხრების დროს ფერგანის ხეობაში.

(საკდესის კორ.).

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

ᲢᲠᲝᲞᲘᲙᲔᲑᲘ ᲡᲘᲮᲝᲢᲔ-ᲐᲚᲘᲜᲨᲘ

ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲡ მხარეში, მთიანი ქედის სიხოტე-ალინის რაიონში აღმოჩენილია ათობით ორიგინალური კარსტული მღვიმე. საინტერესოა მათი მიკროკლიმატი. მაშინაც კი, როცა გარეთ მძაფრი ყინვაა, ტემპერატურა ამ მიწისქვეშა ლაბირინთებში 15-20 გრადუს სითბოზე დაბლა არ ეცემა. ზღვისპირეთის მხარის კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი არ იცვლება წელიწადის დროთა მიხედვით და უახლოვდება ტროპიკების პირობებს. ამის მეოხებით უძველესი დროიდან ზოგიერთმა სითბოს მოყვარულმა ცხოველმა და მწერმა ამ მიწისქვეშა ტროპიკებში ჩვენს დრომდე მოაღწია.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად ქ. თბილისში 1963 წლის 25-დან 29 მარტამდე აწყობს სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშებისა და სპეციფიკაციების მიხედვით ყიდვა-გაყიდვის სარესპუბლიკათშორისო საბითუმო ბაზრობას.

ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ საბითუმო, საცალო სავაჭრო ორგანიზაციები და ყველა სისტემის სამრეწველო საწარმოები როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან, ისე მოკავშირე რესპუბლიკებიდან, სსრ კავშირის მბარეებიდან და ოლქებიდან.

ფართო ასორტიმენტით გაიყიდება სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

ბაზრობა გაიმართება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, — ქ. თბილისი, წერეთლის პროსპექტი № 118.

ბაზრობის ყველა საკითხზე მიმართეთ: **ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 9,** საქართველოს სავაჭრო საშუამავლო კანტორა, ტელეგრაფით — თბილისი, „ტორგპოსრედკანტორა“, **ტელეფონი 9-88-24.**

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო



საქართველოს სსრ 1963 წლის ფულისა და ნივთების მეორე გამოშვების ლატარიის ბილეთით 30 კაპიკად შეიძლება მოიგოთ ავტომანქანა „ვოლგა“, „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეცი“, პიანინო, საწოლი ოთახის გარნიტური, ტელევიზორი, მაცივარი და სხვა ფასიანი ნივთი.

მოგებათა ტირაჟი შედგება 1963 წლის 30 მარტს ქ. ბათუმში.

შეიძინეთ ლატარიის ბილეთები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ტექნიკუმში შემსვლელთა ოთხთვიან მოსამზადებელ კურსებზე (დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებებისათვის).

მოსამზადებელ კურსებზე მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ამჟამად მუშაობენ საწარმო-დაწესებულებებში.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

კურსებზე შემომსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ **განათლების მოწმობა** ან **ატესტატი** (დედანი) **და ცნობა სამუშაო ადგილიდან.**

განცხადებები მიიღება და ცნობები გაიცემა ყოველდღე 9 საათიდან 16 საათამდე ტექნიკუმის კანცელარიაში.

კურსები სამეურნეო ანგარიშზეა. მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1963 წლის 1 აპრილს.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, უშანგი ჩხეიძის ქ. № 8. ტელეფონი 5-32-42.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ — ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

(კამოს ქ. № 70)

1963-64 სასწავლო წლისათვის აცხადებს მიღებას დღის განყოფილების პირველი კურსის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ტელევიზიისა და რადიოიერეანი ხაზები, 2. რადიოაპარატურის მშენებლობა, 3. რადიო და ელექტრომოწყობილობის მონტაჟი, 4. ელექტრომანქანათმშენებლობა, 5. შედუღების წარმოება, 6. სამრეწველო საწარმოთა ელმოწყობილობის დანადგარები, 7. ლითონის ცივად დამუშავება.

დირექცია.

14 მარტი

კინო — **რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — ორი მოთხრობა (თეთრი ქალიშვილი, ალაერდობა), **ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ნაკადული** — სვლა მხედრით, **თბილისი** — უკანასკნელი რაუნდი.

რადიო

15 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკა, 09.10 — ნაწყვეტები დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლიდან“, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.15 — „გზებთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.25 — ფრაგმენტები ს. ცინცაძის ბალეტ „დემონიდან“, 13.40 — ნაწყვეტები მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინებიდან“, 17.15 — ა. ნიკარაძის კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი: „მინდვრად დანთებული კოცონი“, 18.10 — ქართული ქალაქური სიმღერები, 18.45 — ლირიკული სიმღერები, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა — „ახალი წიგნები“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

14 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ოტელო (მე-9 აბონ. მე-8 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — თანამეროვე ტრაგედია (მე-20 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (მე-3 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ორნი საქანელაზე, **სანკუტლურის** — ჭრძნობათა ჭიდილი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ბლახის ნაამბობი (აბონ. № 6, 5 ს.), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

14 მარტი

12.00 — კინონარკვევი, 12.30 — მხატვრული ფილმი „მშიშარა“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ყველაზე ჰატარებისათვის „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ნორჩ შემოქმედთა კონფერენციის წინ“, 18.35 — კინონარკვევი, 18.55 — გადაცემა ციკლიდან „დეპუტატობის კანდიდატები“, 19.05 — გადაცემა „ჩვენი სამყაროს ისტორიიდან“, 19.35 — კინოჟურნალი, 19.45 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება“, 20.50 — კინონარკვევი, 21.10 — ახალი ამბები, 21.25 — საბჭოთა კინოს ისტორიიდან — მხატვრული ფილმი „ვალერი ჩკალოვი“.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

დ. მᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

Комунисти

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, 3/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერი ლების — 9-73.24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲣᲔ 05874

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.